I დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

2020 სამშაბათი

ეს 11,1-10; ფს 71; ლკ 10,21-24

დაივანებს მასზე უფლის სული ეს 11,2

ესაია წინასწარმეტყველის გასაოცარი ნაწყვეტი, რომლიდანაცაა დღევანდელი ფრაზა, წარმოგვიდგენს იმას, რომელსაც ველით შობაზე, იესოს: „შენზე დაივანებს უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და ძლიერებისა, შემეცნებისა და უფლის მოშიშების სული". იესო, შენ მოდიხარ შენი სულის ნიჭებით ჩვენს გასამდიდრებლად, რათა გაიზარდოს ჩვენში მსგავსება ჩვენს ზეციერ მამასთან, რათა ნამდვილად ძვირფასი და მარადიული გახადოს ჩვენი ცხოვრება. მოდი, სიხარულით გეძებთ შენ!

2 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

2020 ოთხშაბათი

ეს 25,6-10ა; ფს 22; მთ 15,29-37

იესო ავიდა მთაზე და დაჯდა იქ მთ 15,29

მთა ისრაელის ერისათვის ღმერთის გა-
ნცხადების ადგილია: გავიხსენოთ მოსე,
ელია... ახლა, იესო, შენ ადიხარ მთაზე და
იქ ჩერდები: შენთან მოჰყავთ ყველა სნე-
ული და ტანჯული, შენ კი ჰკურნავ მათ
და ათავისუფლებ; თანაგრძნობასა გრძნობ
ხალხის გამო, შენ რომ მოგდევს, და აპუ-
რებ მათ. შენა ხარ, ნამდვილად ღმერთი
რომელიც ვლინდება, ღმერთი, რომელიც
ოდენ სიყვარულია! მოდი, უფალო იესო!

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც., +1552, (მ), თ

2020 ხუთშაბათი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

კლდეზე იყო დაშენებული მთ 7,25

პირველ საკითხავში ესაია წინასწარმეტყველი გვეუბნება, თუ ვინაა კლდე: „უფალია მარადიული კლდე“. და რაღა საჭიროა სხვაგან და ამაოდ ეძიო ის მშვიდობა და სიმყარე, ყველას რომ სწადია? იესო, მსურს მოვენდო შენს მოძღვრებას: არასოდეს ვინანებ!

4 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [I] ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ., +749

2020

პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

გწამთ, რომ ძალმიძს ეს? მთ 9,28

რამოდენიმე საათი სათვალის გარეშე
დავრჩი და ვეღარ ვპოულობდი მას. ამის
გამო ძალზე ვწვალობდი სამუშაოზე;
უცებ გულიდან აღმომხდა სიტყვები:
„დედაო ზეციერო, შემეწიე!“ ბოლო
სიტყვა არც გამეთავებინა, რომ ფეხქვეშ
ვიგრძენი რაღაც: სათვალე იყო, რომელიც
საღსალამათი ეგდო ძირს! მადლობა, იესო,
იმისათვის, რომ იწონებ და გვპასუხობ,
როცა გენდობით შენ და შენს წმიდანებს!

5 დეკემბერი

2020 შაბათი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-38 – 10,1.6-8

შეებრალა ისინი მთ 9,36

დიდი ხანი არაა, რაც ადვენტში შევაბიჯეთ, ადვენტში, როდესაც ვჭვრეტთ იესოს განკაცებას, მის ხორციელად მოსვლას. რისთვის მოვიდა? სწორედ იმიტომ, რომ ღმერთი თანალმობით გვიცქერს. დღევანდელი სახარება გვიჩვენებს იესოს თანალმობას დაფანტული და დაქანცული ბრბოსადმი. ესაა მამის მზერის ხატი, რომელიც სიყვარულით შესცქერის კაცობრიობას: ისეთი დიდია ეს სიყვარული, რომ ანიჭებს მას საკუთარ ძეს, უგზავნის თავის სიტყვას. მოდი, უფალო იესო!

6 დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «ბ», [II], ი

2020 კვირა

ეს 40,1-5.9-11; ფს 84; 2პეტ 3,8-14; მარ 1,1-8

ის მოგნათლავთ სულიწმიდაში მარ 1,8

აი, ვის ველით: მას, ვინც გვნათლავს, ანუ, შთაგვფლავს, სულიწმიდაში, მამისა და ძის სიცოცხლეში, რომელიცაა თავად სიყვარული; ის, ვინც კვლავაც შთაგვბერს, არც დროში და არც სიხარულში შეზღუდულ ამ სიცოცხლის სუნთქვას. მხოლოდ მას, ვინც ჩვენი სიცოცხლისათვის მოკვდა ჯვარზე, ძალუძს ამგვარი ნიჭის გაცემა. მოდი, იესო, სიცოცხლევ ჩვენო!

7 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., +397, (მ), თ

2020

ორშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

ადამიანო, მოგეტევა შენი ცოდვები ლკ 5,20

ხალხი ამ სიტყვების გაგონებაზე აღშფოთდა: მხოლოდ ღმერთს ძალუძს ადამიანისთვის ცოდვის მიტევება! იესო, იმისათვის რომ ადამიანებს შეეშველოს რწმენაში, ჰკურნავს დავრდომილს. სურდა გაეგოთ, რომ ცოდვათა მიტევება, რომელსაც იგი იძლევა, უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ჯანმრთელობა; ის ხომ მამასთან თანაზიარებას გვჩუქნის, დაგვაგემოვნებინებს სიყვარულს. იესო, მოდი კვლავაც და მოგვიტევე ცოდვები ჩემი და მთელი ქვეყნისა!

8 დეკემბერი

2020

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დდ, [ს], თ

სამშაბათი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

დაარქმევ სახელად იესოს ლკ 1,31

დღეს ვზეიმობთ მარიამის უმანკო ჩასახებას, ღმერთის დიად საქმეს იმაში, ვისაც ვუწოდებთ „მიმადლებულს“. მარიამი მთელი თავისი ცხოვრებით, სასოებითა და გამბედაობით სავსე „ჰო“-ში, ამ მადლის მაუწყებელი იქნება, ანუ ღვთის უანგარო სიყვარულის მაუწყებელი. ისიც, რომ მან დაარქვა სახელად „იესო“ იმ ბავშვს, რომელიც მთლიანად და ოდენ ღვთის საჩუქარია, ამ უანგარო და დამხსნელი სიყვარულის უწყებაა. ყოველ ჯერზე, როდესაც მარიამი უძახდა მას „იესო!“, აუწყებდა: „ღმერთი იხსნის“. შენც გააცხადე ეს მასთან ერთად!

9 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. ხუან დიეგო კუაუჰტლატოაწინი, +1548

2020 ოთხშაბათი

ეს 40,25-31; ფს 102; მთ 11,28-30

მოდით ჩემთან მთ 11,28

ადვენტის ამ ჟამს ხშირად ვიმეორებთ: მოდი, უფალო იესო! მარანათა! დღეს იგი გვებუნება: „მოდით ჩემთან“. ერთ დღეს უთხრა იესომ იუდეველებს „თქვენ არა გსურთ ჩემთან მოსვლა სიცოცხლის მი-საღებად“. რათა მეც არ გამიმეოროს ეს სევდით სავსე სიტყვები, მოვუხმობ მას და დავუმზადებ მეტ ადგილს ჩემს ცხოვრება-ში და დავუთმობ დროს, რათა მივიდე და დავრჩე მასთან.

ხუთშაბათი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება (+1973)

ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია მთ 11,11

დიახ, რადგან წინამორბედმა იოანემ, რომელსაც იესოც დიდი დაფასებით ეპრყობოდა, მხოლოდ მიუთითა მისი მოსვლა, მეფის მოსვლა; ყველაზე მცირე ბავშვიც კი, ვინც ნათლობას ღებულობს, შედის ღვთიურ სიცოცხლეში და იქცევა ერთ მთლიანობად ყოვლადწმიდა სამებასთან.

II დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

წმ. დამას I, პაპი, +384

2020

პარასკევი

ეს Ч8,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

ვის ვამსგავსო ეს მოდგმა? მთ 11,16

„ეს მოდგმა“ მხოლოდ იესოს თანამედროვენი როდი არიან, რომლებმაც ისმინეს ნათლისმცემლის ძლიერი უწყება და იხილეს იესოს გულმოწყალებით სავსე ქცევა. ეს მოდგმა ვართ ჩვენც დღეს. მრავალი გზით გვწვდება ღვთის სიტყვის უწყება – წერილობით, გადაცემებით, კონფერენციებით, ინტერნეტის ხსვადასხვა საშუალებით – რომლებიც ხაზს უსვამენ მამის სახიერებას და შეგვახსენებენ მთელი ძალით, რა გვიჯდება მისი შვილობა. შევეცდები ყველაფერი არ ვაკრიტიკო, არამედ მივიღო მამის ნათქვამი. უპირველეს ყოვლისა დამელაპარაკება იმ ჩვილით, რომელსაც მოველით.

12 2020

დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II] ი

(29.XI) წმ. აბიბოს ნეკრესელი, ეპ., წამ., VIს.;
გვადალუპეს ნეტარი ქალწული მარიამი, 1531

შაბათი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

გადმოგვხედე ციდან და მოხედე ამ ვაზს ფს 79

ესაა სწორედ ის, რასაც მამა თავისი სიყვარულით აკეთებდა და აკეთებს. ეს გააკეთა შორეულ წარსულში, მრავალი წინასწარმეტყველის მოხმობით; საბოლოო სახით ორი ათასი წლის წინ გააკეთა თავისივე სიტყვის, მაცხოვარი იესოს ხორციელად მოსვლით; კვლავაც აკეთებს, როცა აკაკუნებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების კარზე სულიწმიდის ფაქიზი შთაგონებებით. დღეს ჩემზეა, ვთქვა: „მოდი, ჩემს ცხოვრებაშიც იმოქმედე, გარდამქმენ, შემოდი, დარჩი“.

13 დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «ბ», [III], ვ

2020 ვ ვ ი რ ა

ეს 61,1–2.10–11; ფს: ლკ 1,46–50.53–54; 1თეს 5,16–24; იო 1,6–8.19–28

მოუსწორეთ გზა უფალს იო 1,23

იოანემ, წინამორბედმა საოცარი სახით შეასრულა ღვთისაგან დაკისრებული დავალება: მისმა ძლიერმა, თავმდაბალმა, თანმიმდევრულმა, წინასწარმეტყველებათა გამაჟღერებელმა სიტყვამ მოამზადა ხალხი ნანატრი მესიის მოსვლაზე. იესო კვლავ უნდა დაბრუნდეს: მისი მეორედ მოსვლა აძლევს სისავსეს ჩვენს ცხოვრებას, და მა-მაც გვამზადებს: რაიმე მოვლენა, სახარების ერთი სიტყვა, უფლის რომელიმე მსახურის, ან მორწმუნე ადამიანის რჩევა, შინაგანი კარნახი... დროა სიყვარულით, მღვიძარე-ბით, მოქმედებით სავსე სმენისა! იესო მოვა!

14 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ), თ

2020 ორშაბათი

რიცხ 24,2-7.15-17ბ; ფს 24; მთ 21,23-27

ამობრწყინდება ვარსკვლავი იაკობისგან

რიცხ 24,17

ერთი 'უცნაური' წინასწარმეტყველი ხედავს შენს ვარსკვლავს, იესო! მოწინააღმდეგე მეფემ დაავალა მას დაეწყევლა ისრაელის ერი, არადა სულიწმიდამ მისი ბაგედან დალოცვა და წინასწარმეტყველება გააჟღერა. ყველა ერი, ყველა რელიგია, ყველა ქმნილება თაყვანსა გცემს, იესო, რადგან ანგარიშმიუცემლად შენგან ელიან თავიანთ სისავსეს: მოდი!

15 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

2020 სამშაბათი

სოფ 3,1-2.9-13; ფს 33; მთ 21,28-32

ამ ორთაგან რომელმა აასრულა მამის ნება? მთ 21,31

მამის ნება იმ ძემ აასრულა, რომელმაც შეინანა და გააკეთა ის, რასაც მამა ითხოვდა. მამის ნების შესრულება შეუძლებელია სიტყვით, ან ოდენ გარეგნული ქმედებით: მას ვასრულებთ მაშინ, როცა ვღებულობთ მის სიყვარულს, რომელიც პირველ რიგში გვხდის თავმდაბლებს, რის შედეგადაც ვიძენთ გულმოწყალებას სხვების მიმართ, გვაძლევს შეყვარების უნარს.

16 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III] ი

2020 ოთხშაბათი

ეს ५5,6ბ-8.18.21ბ-25; ფს 84; ლკ 7,19-23

ჩამოაპკურეთ, ცანო, მაღლიდან ეს ५5,8

ხვალ ჩვენს ტაძრებში დავიწყებთ ამის
გალობას. მრავალი ბავშვი მოისმენს ამ
სიტყვებს და შეუერთდებიან ლოცვას,
ისინი ხომ სხვებზე უკეთ მოელიან ჩვილ
იესოს. და იესოც სწორედ „ზეციდან“
გარდამოვა, სადაც ცოცხლობს მამასთან
ერთად, მამასთან, რომელიცაა ოდენ
სიყვარული და შესაბამისად, ოდენ
სიხარული და სიცოცხლე. და ყველას
მოუტანს საჩუქრად ზეცას!
მოდი, იესო, შობის ნამდვილო საჩუქარო!

17 დეკემბერი

2020

შობის ნოვენის დასაწყისი [ს] ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

ხუთშაბათი

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

მისი სახელი საუკუნოდ დარჩება ფს 71

წმიდა წირვაზე გაჟღერებული ფსალმუნი
იესოს მშვენიერი ქების შესხმაა. იგია ერი-
საგან ნანატრი, ყოველი გული მოელის
მას. იგი მოვა ჟამთა აღსასრულს რათა
სამუდამოდ იმეფოს: მოგვანიჭებს სიყვა-
რულს, მშვიდობას, სიხარულს, ყველა
ჩვენგანს, მის დატკბ. მოდი, უფალო იესო!

18 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2020 პარასკევი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

მას დაერქმევა ემანუელი მთ 1,23

გუშინდელი ფსალმუნი ასე ლოცულობდა: „სამუდამოდ იყოს მისი სახელი“. დღეს მათე გვეუბნება ამ სახელს: ემანუელ. ესაა სახელი, რომელიც დაპირებული მესიის, იესოს ვინაობას გვიმხელს.
თაყვანსა გცემ, მოგელი და ადგილს გიმზადებ ჩემს ცხოვრებაში, იესო, რაკი შენა ხარ „ღმერთი-არს-ჩვენთან“, შენა ხარ ღვთის ჩვენთან და ჩვენთან მყოფი სიყვარული, რომელსაც მუდამ მხოლოდ ჩემი ხსნა სურს.

19 დეკემბერი

2020

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +343

შ ა ბ ა თ ი

მსჯ 13,2-7.24-25ა; ფს 70; ლკ 1,5-25

დაარქმევ მას სახელად იოანეს ლკ 1,13

„იოანე“ ნიშნავს: ღმერთი მოწყალეა. ვაჟი, რომელსაც უფალი სჩუქნის ზაქარიასა და ელისაბედს, იქნება ღვთის სიყვარული ადამიანთათვის. ასევე, ყოველი სიტყვა, ყოველი ქმედება, რაც იბადება ჩვენში სულიწმიდისაგან, იქნება ღვთის სიყვარული რომელიმე ჩვენი ძმისათვის.

20 დეკემბერი

ადვენტის IV კვირადღე, «ბ», [IV], ი

2020 კვირა

2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა-16; ფს 88; რომ 16,25-27; ლკ 1,26-38

დიდი იქნება ლკ 1,32

მარიამ, შენ პირველმა მიიღე იესო და
გაუღე მას კარი სრულყოფილი სახით:
სიყვარულით, მთელი შენი სიცოცხლის
მიძღვნით. და მანაც შეძლო ყოფილიყო
დიდი, ყოველი ადამიანის მაცხოვარი. მეც
მსურს ამგვარად მივიღო იგი, ამ შობაზე;
შემეწიე, დედი!

21 დეკემბერი

2020

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

ორშაბათი

ქებ 2,8-14 ან, სოფ 3,14-17; ფს 32; ლკ 1,39-45

კურთხეულ ხარ დედათა შორის ლკ 1,42

მარიამს არ „გაუმართლა“. კურთხეულ იქნა, რადგან დათანხმდა რომ ღმერთს აღესრულებინა მასში და მისი საშუალებით თავისი სურვილი. მარიამმა თქვა „ჰო“, და მთელი თავისი ცხოვრება ღვთის განკარგულებაში გადასცა. ეს ძვირად კი დაუჯდა, მაგრამ მადლის სისავსის, უანგარო სიყვარულის, ღვთის კურთხევის მიზეზი გახდა. ნეტარი და კურთხეული ვიქნები მეც, თუკი იმედს შევაგებებ ღმერთს, რომელსაც ერთადერთს ვუყვარვარ.

22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს] ი

2020 სამშაბათი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,1.4-8; ლკ 1,46-55

ადიდებს სული ჩემი უფალსა ლკ 1,46

ძვირფასო დედავ, ქრისტეშობას მივუახლოვდით შინაგანად განწმედილები რწმენით, ღვთის სიტყვით, მიტევების საიდუმლოთი; შემოგიერთდებით, რათა მადლიერებით ვიგალობოთ: „ადიდებს სული ჩემი უფალსა!“ მეც საბრალო ვიყავ და უფლის სიყვარულმა დამიხსნა.

23 დეკემბერი

2020

შობის ნოვენა [ს] ი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

ოთხშაბათი

მალ 3,1-4,23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

იოანეა სახელი მისი ლკ 1,63

დიახ, მისი სახელი უნდა იყოს – მამის სიყვარულს ნებავს ასე – იოანე, ანუ, „ღმერთი მოწყალეა“. იგი ხომ მოვლენილი იყო ღვთის ძის მოსასვლელად ერის გასამზადებლად, ღვთის ძისა, რომელიცაა ოდენ სიყვარული!

24 დეკემბერი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

2020 ხუთშაბათი

2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79

სამუდამოდ ნაშენი სიყვარულია ფს 88

ხვალ ვიზეიმებთ იესოს ამქვეყნად დაბადებას. იგია მამის მარადიული სიყვარული მარიამის ქალწულ წიაღში განკაცებული. სიყვარული რომელიც მარადიულია, სამარადისოდ. წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები სიყვარული, ისრაელის ერმა რომ განიცადა, დახსნისა და ცოდვათა მიტევების დაპირება, მუდამ გაწვდილი სიყვარული, არასოდეს რომ მიაქვთ უკან.
იესო, მზეო მამის სიფაქიზიდან და გულმოწყალებიდან ამოსულო, მოდი და გაუნათე კაცობრიობას სიყვარულისა და მშვიდობის გზა.

25 დეკემბერი

2020

ქრისტეშობა, დდ, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

პარასკევი

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

და დაემკვიდრა ჩვენ შორის იო 1,14

მშვენივრად უწყოდი, უფალო იესო, რომ ცოდვილნი ვართ. უწყოდი, რაოდენ ურჩად დაგხვდებოდით, და ეს ტანჯვის გარეშე არ ჩაივლიდა შენთვის. მით უფრო მშვენიერია შენი მობრძანება, ასე რომ ჰგავს მოქუფ-რულ ცაზე გაბრწყინებულ ვარსკვლავს, წყვდიადში ანთებულ სანთელს.
ახლა აქა ხარ, იესო. შენ გვითმენ ჩვენ, და ჩვენ დავიწყეთ შენგან იმის შესწავლა, თუ როგორ მივბაძოთ მამის უხვ და წმიდა სიყვარულს.

26 2020

დეკემბერი

შობის რვადღეულის II დღე

წმ. სტეფანე პირველწამებული, დ, [ს], წ

შ ა ბ ა თ ი

საქმ 6,8-10.12; 7,54-60; ფს 30; მთ 10,17-22

ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენი მამის სული ილაპარაკებს თქვენში მთ 10,20

სტეფანე იყო ზეციერი მამის ნამდვილი შვილი: მხოლოდ მისგან ღებულობდა სიცოცხლეს, განცდებს, სურვილებს. ნამდვილად ღვთის სული მეტყველებდა მასში; მის სიტყვებში ექოდ ისმოდა ღვთის ძის სიტყვები; სიკვდილისას ხომ მასაც აღმოჰხდა: „უფალო, ნუ ჩაუთვლი მათ ამას ცოდვად!“. წმიდაო სტეფენე, შეგვეწიე მივიღოთ ჩვენში მხოლოდ მამის სიცოცხლე, რომელიცაა ოდენ სიყვარული!

27 დეკემბერი

2020 კვირა

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «ბ» [ს] თ

დაბ 15,1-6; 21,1-3; ფს 104; ებრ 11,8.11-12.17-19; ლკ 2,22-40

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მარიამმა და იოსებმა აიყვანეს ბავშვი იერუსალიმს ლკ 2,22

,,უფლის წინაშე წარსადგენად... რათა შეეწირათ მსხვერპლად, როგორც უფლის რჯულშია ნათქვამი, ორი გვრიტი ან ორი მართვე მტრედისა". ეს ღარიბი და ღვთის დამყოლი ოჯახი, სადაც მამას სცემდნენ თაყვანს, შენი ოჯახია, იესო! ასეთები გინდა ჩვენი ოჯახები, რათა დალოცო ისინი და დამკვიდრდე მათში.

28 2020

დეკემბერი

შობის რვადღეულის IV დღე

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის
წამებულნი, დ, [ს], წ

ორშაბათი

1იო 1,5 - 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

ჰეროდეს სურს მაგ ყრმის მოძებნა, რათა დაღუპოს იგი მთ 2,13

შენ ჯერ ისევ მცირე ჩვილი ხარ, მარია-
ამის მკლავებში რომ გძინავს, იესო, და
უკვე ვიღაც, ვიღაც ძლიერი ამა ქვეყნისა,
მოკვლას გიპირებს! იოსებს მართებს და-
გიცვას და მოგიაროს. მეც უნდა დაგიცვა
შენ: მრისხანება, განჯსა-განკითხვა, ამპა-
რტავნება, გულგატეხილობა ჩემს ფანჯა-
რაში რომ იჭყიტებიან, უნდა დავიფრინო:
შენთვის რომ არ იქცნენ ტანჯვის მიზეზად,
ჩემს გულში დამკვიდრებულო!

29 დეკემბერი

2020

შობის რვადღეულის V დღე [ს] თ

წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ., +1170

სამშაბათი

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

მან მიირქვა ყრმა მკლავებზე ლკ 2,28

ტაძრად სიმეონმა მიირქვა იესო და აკურთხა ღმერთი. ეს იყო ყველაზე ნამდვილი ლოცვა, იმ დღეს რომ აღევლინა იერუსალემის ტაძრიდან; ეჭვგარეშეა, ღვთისათვის ყველაზე სათნო ლოცვა, იმდენ მსხვერპლად შეწირულ პირუტყვში და რიტუალურ ლოცვებში. მივიღოთ იესო ჩვენს ცხოვრებაში და მადლობა მივუძღვნათ მამას ამ უდიდესი ნიჭისათვის, აი, ესაა უმთავრესი ლოცვა შობის დღეებში.

30 დეკემბერი

შობის რვადღეულის VI დღე [ს] თ

2020 ოთხშაბათი

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

დაბრუნდნენ გალილეაში ლკ 2,39

იესოს ბეთლემში დაბადება, ეგვიპტეში ლტოლვა, ნაზარეთში ჩუმი და უბრალო ცხოვრება – ყოველივეს იდუმალი სახით მართავს მამის სიყვარული და ყოველივე იქცევა მის გამოვლინებად.
შენთან ერთად, ჩვილო იესო, მეც მივე-ძღვნები და მივენდობი მამას!

31 დეკემბერი

2020

შობის რვადღეულის VII დღე [ს] თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335

ხუთშაბათი

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

ბნელმა ვერ მოიცვა იგი იო 1,5

ეს სიტყვა იმედით გვავსებს, ხოლო იმედია ის, რაც გვჭირდება ახალი წლის დასაწყებად. წუთისოფელში, რომელშიც ვცხოვრობთ, წყვდიადი მძლავრობს და ერთი შეხედვით მთელი სიკეთე, რაც მამას სწადია თავისი საყვარელი კაცობრიობისათვის, ვერ სრულდება. არ დაგვავიწყდეს, რომ მამის სიყვარულით გაჯერებული ჩანაფიქრი, მოეცა დახსნის გზა, გაიხსნა, მიუხედავად უარისა – და თვით ამ უარის საშუალებითაც –, რომელიც განიცადა იესომ. არსებობს ნათლის სამყარო, რომელშიც შეგვიძლია ვიცხოვროთ: მივყვეთ იესოს, ყოველი ადამიანის გამნათებელ ნათელს.